Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა: ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

ინტერპარტიული ანგარიში

წინასიტყვაობა

ინტერპარტიული ანგარიში **„სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა: ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“** სამი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდა წევრების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე მომზადდა. ანგარიში ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ინტერპარტიული საბჭოს ფარგლებში შეიქმნა, რომლის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო **საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (GIP), შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს** მხარდაჭერით. საბჭოს ფარგლებში შექმნილ ინტერპარტიულ თემატურ ჯგუფში გაერთიანდნენ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდა პოლიტიკოსები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს სამაგიდო კვლევა და საველე გამოკითხვა საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე დასახლებულ პუნქტებში, რის საფუძველზეც სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართულებით არსებული ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება გახდა შესაძლებელი. გამოკითხვა მიზნად ისახავდა დაედგინა, თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საჰაერო დაბომბვის, სხვადასხვა ტიპის თავდასხმისა თუ სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში. ასევე, რამდენად შეეძლოთ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და გადაუდებელ შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, მოქალაქეებმა ასევე უპასუხეს შეკითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა წყაროდან იღებენ ან მიუღიათ ამ ტიპის ინფორმაცია და რა იქნებოდა მათთვის ეფექტური კომუნიკაციის ფორმა. გამოიკითხა 18-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა ზუგდიდში, გორში და მათ მიმდებარე სოფლებში (საერთო ჯამში 48 ადამიანი). კვლევის შედეგებსა და „ინტერპარტიული საბჭოს“ ფარგლებში ორგანიზებულ კონსულტაციებზე დაყრდნობით, ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, სხვადასხვა აქტორების მიმართ შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავეს.

ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ინტერპარტიული საბჭოს წევრები იმედს გამოთქვამენ, რომ ინტერპარტიულ ანგარიშზე ერთობლივი მუშაობის პრეცედენტი და ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება ხელს შეუწყობს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას საქართველოში.

ავტორები:

ფოღადაშვიღი გოგა, *საქართველოს ღეიბორისტული პარტია;*

გამგებელი ზუჰა, *გახარია საქართველოსთვის;*

ფარუღავა ოთარ, *ღეღო საქართველოსთვის.*

შესავალი

სამოქალაქო თავდაცვა სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს და სამთავრობო, სამხედრო და საერთაშორისო ძალისხმევასთან ერთად, ტოტალური თავდაცვის სისტემას ქმნის. 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე, სამოქალაქო მედეგობის კომპონენტი კიდევ უფრო პრიორიტეტული გახდა და აქტიური განხილვის საგნად იქცა. მედეგობის სამოქალაქო კომპონენტი ნატოს ახალ სტრატეგიაშიც ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. ბოლო პერიოდში რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, საომარი მოქმედებებისა და კრიზისული სიტუაციების დროს მოქალაქეების მზაობის საკითხი საქართველოსთვის კიდევ უფრო აქტუალური გახდა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა ითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებისა და მომზადების კომპონენტს, რამდენადაც სამოქალაქო თავდაცვის მიმართულებით მოსახლეობის მაღალი ცნობიერება და მზაობა სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. გარდა ამისა, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“ ხაზგასმით აღნიშნავს ტოტალური თავდაცვის მიდგომის მნიშვნელობას ქვეყნის უსაფრთხოებაში, რაც სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობას და საერთო ძალისხმევას მოიცავს. თუმცა, ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ინტერპარტიული საბჭოს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამაგიდე კვლევა და მოსახლეობის გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოსახლეობის ცნობიერებისა და მზაობის დონე სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ყველა ასაკობრივ კატეგორიაში საკმაოდ დაბალია. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით საერთო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება, სხვადასხვა კერძო, სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტორებთან თანამშრომლობა და მოსახლეობასთან უფრო აქტიური მუშაობა.

ახალგაზრდა პოლიტიკოსების მიერ, სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობის საკითხზე შემუშავებულ ინტერპარტიულ ანგარიშში, კვლევაზე დაყრდნობით ხუთი ძირითადი გამოწვევა გამოიკვეთა: *საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა; ახალგაზრდებში ინფორმაციის ნაკლებობა; სტრატეგიული კომუნიკაციის ხარვეზები; სამოქალაქო და სამხედრო სექტორებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა; და პოლიტიკური პარტიების ღღის წესრიგის პრიორიტეტები.* მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა აქტიურად დაიწყონ აღნიშნულ გამოწვევებზე მუშაობა და ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობა.

სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა: ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

საზოგადოებრივი ცნობიერებისა და მზაობის ნაკლებობა

გამოწვევა 1: საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა

მოქალაქეების ცნობიერებისა და მზაობის მაღალი ხარისხი სამოქალაქო თავდაცვის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030 წლისთვის ხაზს უსვამს თავდაცვის ძალებისთვის მოსახლეობის მხარდაჭერისა და მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგრადობის მნიშვნელობას თავდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. სახელმწიფოს მედეგობის ჩამოყალიბებაში მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე ნატოს სტრატეგიაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში მოქალაქეების ინფორმირებისა და მზაობის მაღალი დონე საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას მუდმივი პირდაპირი საფრთხის პირობებში უწევთ არსებობა და მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სამხედრო თავდასხმისა და ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში. თუმცა, ამის ფონზე, საქართველოს ორ საზღვრისპირა რეგიონში მოსახლეობაში ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ამ ტიპის ინფორმაცია არ აქვს. გამოკითხულთა 90%-მა არ იცის, როგორ მოიქცეს საჰარეო დაბომბვის შემთხვევაში, 97%-მა არ იცის, როგორ მოიქცეს ქიმიური თავდასხმის, ან ბირთული თავდასხმის შემთხვევაში, ხოლო გამოკითხულთა 70%-მა არ იცის, როგორ გაუმკლავდეს სხვადასხვა სტიქიურ უბედურებას. გარდა ამისა, გამოკითხულთა მხოლოდ 30%-მა იცის, თუ როგორ გაუწიოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ადამიანებსა თუ ადამიანების ჯგუფს, ამის აუცილებლობის შემთხვევაში. გამოკითხვა ცხადად აჩვენებს, რომ მოსახლეობის ინფორმირებისა და მომზადების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი.

ხეაგიხება:

- *მთავხობის შესაბამისი უწყებების მხხიდან შემუშავდეს სხვადასხვა საზოგადოებხივი ჯგუფების ინდივიდუადუხ საჭიხოებებზე მოხგებუდი კომუნიკაციის სტხატეგია ინფოხმაციის უფხო ეფექტუხი გავხცედებისთვის;*
- *სამოქადაქო თავდაცვის სფეხოში საზოგადოების, და განსაკუთხებით საოკუპაციო ხაზის სიახდოვეს მცხოვხები მოქადაქეების, მომზადების საკითხი ხოგოხც მთავხობის, ასევე პოდიტიკუხი პაიტიების დღის წესხიგში მეტად პხიოხიტეტუდი გახდეს;*
- *მთავხობამ მაქსიმადუხად გაიზიახოს NATO-ს მიდგომა და ეფექტუხი საეხთაშოხისო პხაქტიკა სამოქადაქო მედეგობის გაძდიეხების მიმახთუდებით;*
- *შეიქმნას სპეციადუხი საზოგადოებხივი-საინფოხმაციო ბადე საზოგადოებხივ მაუწყებედზე, სადაც პეხიოდუდად გავა 3-4 წუთიანი საინფოხმაციო ვიდეო ხგოდები სამოქადაქო თავდაცვაზე საზოგადოების ცნობიეხების ამაღდებისა და მათი მედეგობის გაზხდის ხედშეწყობის მიზნით;*

- *ახასამთავრობო სექტორის ხელშეწყობით, სხვადასხვა სოციალურ ქსელებში (Facebook, TikTok,Telegram) შეიქმნას სპეციალური პლატფორმა, სადაც მოკლე ვიდეო ჩანაწერების, ინტერვიუებისა და ბლოგების სახით დაიდება ინფორმაცია სამოქალაქო თავდაცვისა და საზოგადოებრივი მედეგობის მნიშვნელობასა და ამ თვალსაზრისით არსებულ წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკებზე.*

გამოწვევა 2: ახალგაზრდებში ინფორმაციის ნაკლებობა

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის გამოკითხვამ განსხვავებულ ასაკობრივ კატეგორიებში მნიშვნელოვანი ტენდენცია აჩვენა. კერძოდ, ახალგაზრდებს გაცილებით უფრო ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქცეულიყვნენ სამხედრო თავდასხმისა თუ ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული კრიზისების შემთხვევაში, ვიდრე 50+ ასაკის მოსახლეობას. აღნიშნული ტენდენცია მიანიშნებს, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ არის დაინტერესებული, ან ვერ ახერხებს საჭირო ინფორმაციის მიღებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიღებული შედეგები შესაბამისობაში მოდის ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის შესახებ 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებთან, რომელმაც აჩვენა, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ მიმართულებით მათთვის უამრავი ბარიერი არსებობს, მათ შორის მათზე მორგებული პოლიტიკის არარსებობა და ახალგაზრდების მხრიდან პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ახალგაზრდებზე მორგებული სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა.

რეკომენდაცია:

- *პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობით შეიქმნას მობილური აპლიკაცია, რომელსაც ექნება ორმაგი დანიშნულება: 1. შემეცნებითი (ვიდეო გაკვეთილების სახით) და 2. საგანგებო შეტყობინებების სახით, რასაც ექნება პრევენციული ხასიათი;*
- *თავდაცვისა და განათლების სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით სამოქალაქო თავდაცვის საკითხები მეტად ინტეგრირდეს საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების სხვადასხვა საფეხურზე;*
- *დაიგეგმოს და განხორციელდეს სოციალური მედია კამპანიები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით;*
- *პოლიტიკუმა პარტიებმა შეიმუშაონ ახალგაზრდებთან მუშაობის ახალი ინოვაციური მიდგომები და მათ წარუდგინონ თავიანთი ხედვები სამოქალაქო თავდაცვის და მედეგობის გასაძლიერებლად.*

გამოწვევა 3: სტრატეგიული კომუნიკაციის ხარვეზები

სტრატეგიული კომუნიკაციები ეფექტური თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია და სხვადასხვა დასავლური სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. მისი მნიშნელობა ასევე ხაზგასმულია საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის 2021-2025 წლის დოკუმენტში. ამ მიმართულებით თავდაცვის სამინისტროს ძირითად სტრუქტურას „თავდაცვის ცენტრები" წარმოადგენს, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს და სამინისტრო მომავალში ასევე გეგმავს „საზოგადოებრივი ურთიერთობების ოფიცრის ინსტიტუტის" განვითარებას, რომლის მთავარი ფუნქციაც სწორედ საზოგადოების ინფორმირება იქნება. თუმცა, სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობის ხაზგასმის მიუხედავად, საზოგადოების ინფორმირება, მომზადება და ამ გზით მათი მედეგობის გაზრდა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ოკუპირებული ხაზის სიახლოვეს მდებარე დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 90%-ზე მეტი ვერც ერთი წყაროდან (ტელევიზია, ინტერნეტი, სახელმწიფო უწყებები, პირადი გამოცდილება) ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას. შესაბამისად, ამ მიმართულებით საჭიროა ინტენსიური მუშაობა სხვადასხვა აქტორების მაქსიმალური ჩართულობით.

ხეაგიხება:

- *შეიქმნას საერთო კომუნიკაციის სტრატეგია, ხომლის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული იქნებიან სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტორები საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარების გზით;*
- *სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, საპარლამენტო პარტიების, სამოქალაქო სექტორის და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით დაიგეგმოს სტრატეგიული კომუნიკაციის კამპანიები, ხომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინდივიდუალურ საჭიროებებზე იქნება მოხგებული და მათთვის მაქსიმალურად მოსახერხებელ ფორმატში მიაწვდის საჭირო ინფორმაციას.*

სექტორთაშორისი თანამშრომლობის ნაკლებობა

გამოწვევა 4: სამოქალაქო და სამხედრო სექტორებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა

სამოქალაქო და სამხედრო სფეროებს შორის თანამშრომლობა ძლიერი სამოქალაქო თავდაცვისა და ქვეყნის უსაფრთხოების საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც სამოქალაქო და სამხედრო სფეროების ინტეგრირებისკენ არის მიმართული და საველე წვრთნებში მოსახლეობის ჩართვას და მათ გადამზადებას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ ტიპის პროგრამები უკვე არსებობს და მას თავდაცვის სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს, სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებულმა მოსახლეობის გამოკითხვამ აჩვენა, რომ იმ მოქალაქეებსაც კი (გამოკითხულთა 90%-ზე მეტი), რომლებიც საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს ცხოვრობენ, არ გააჩნიათ საომარი მოქმედებების დროს თავდაცვისა და სამხედრო პერსონალის სათანადოდ მხარდასაჭერად საჭირო ინფორმაცია და მზაობა. შესაბამისად, აუცილებელია ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა როგორც მთავრობის, ასევე პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომლის მიზანიც სამოქალაქო და სამხედრო სექტორებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა იქნება.

ხეაგიხება:

- *შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და სტრატეგიულ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით კიდევ უფრო გაფართოვდეს არსებული საწვრთნელი პროგრამები და მოიცვას მოსახლეობის უფრო ფართო სეგმენტი;*
- *უსაფრთხოების ექსპერტებისა და სხვადასხვა შესაბამისი სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით გადაიხედოს სამოქალაქო და სამხედრო სექტორებს შორის თანამშრომლობის სტრატეგიები და ამ კუთხით აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა ამ სექტორების ინტეგრირების მიმართულებით.*

გამოწვევა 5: პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგის პრიორიტეტები

სამოქალაქო თავდაცვის საკითხების მნიშვნელობის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგსა და წინასაარჩევნო პროგრამებში მათ საკმარისი პრიორიტეტი არ ენიჭებათ. პოლიტიკური პარტიების მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადებული წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამები მოიცავს თავდაცვისა და ტოტალური თავდაცვის მიდგომებთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ისინი საკმაოდ ზოგადად არის განხილული. როგორც საველე მოკვლევამ აჩვენა, საოკუპაციო ხაზთან სიახლოვეში მცხოვრებ მოქალაქეებსაც კი მიზერული ინფორმაცია აქვთ სამოქალაქო თავდაცვისა და მედეგობის საკითხებთან დაკავშირებით და შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო აქტიურად დაიწყონ მუშაობა როგორც საკუთარ ამომრჩეველთან, ასევე უფრო ფართო საზოგადოებასთან. ასევე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და საერთო მიდგომების შემუშავება, ისევე, როგორც სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერებისა და მზაობის საკითხების წინ წამოწევა როგორც პარტიულ დღის წესრიგში, ასევე წინასაარჩევნო პროგრამებსა და საჯარო დისკუსიებში.

ჰეაგიჰება:

- *ახალგაზრდული ინტერპარტიული საბჭოს წევრებმა წარადგინონ ანგარიში შიდაპარტიულ წრეებში, რომელსაც დაესწრებიან პოლიტიკური პარტიების ლიდერები;*
- *ახალგაზრდული ინტერპარტიული საბჭოს წევრებმა თავიანთ პარტიებში დაიწყონ თავდაცვის საარჩევნო პროგრამის შექმნის წახალისება და პარტიის დარწმუნება მის აუცილებლობაში;*
- *პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო აქტიურად ითანამშრომლონ სამოქალაქო თავდაცვის საკითხებზე და პოლიტიკურ დღის წესრიგში აღნიშნულ საკითხს მეტი პრიორიტეტი მიანიჭონ;*
- *პარტიებმა გამოიყენონ ყველა არსებული პლატფორმა სამოქალაქო თავდაცვის საკითხების და ამ მიმართულებით მოსახლეობის ინფორმირების პრობლემების წინ წამოსაწევად;*
- *პარტიებმა აქტიურად დაიწყონ აღნიშნულ საკითხზე ამომრჩევლებთან საუბარი, ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რეკომენდაციებზე მუშაობა და აღნიშნული საკითხების სხვადასხვა პლატფორმაზე განხილვა;*
- *საპარლამენტო პარტიებმა ოფიციალურად მიმართონ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ინსტიტუტებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მოსახლეობის ცნობიერებისა და მზაობის ხარისხის ასამაღლებლად საჭირო ნაბიჯების გადადგმის თაობაზე;*
- *პარტიებმა აქტიურად დაიწყონ ამ მიმართულებით საჯარო დებატები და განხილვები აღნიშნული საკითხის გარშემო ცნობიერების ასამაღლებლად.*

დასკვნა

ინტერპარტიულ ანგარიშში „სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა: ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“, სამაგიდე კვლევისა და საველე მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია „ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ინტერპარტიული საბჭოს“ სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ იდენტიფიცირებული გამოწვევები. თითოეული გამოწვევის საპასუხოდ, წარმოდგენილია ახალგაზრდა პოლიტიკოსების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სხვადასხვა აქტორების მიმართ.

ინტერპარტიულ ანგარიშში სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მოსახლეობის ცნობიერებისა და მზაობის პრობლემებია განიხილული. სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ხუთი საკვანძო გამოწვევის იდენტიფიცირება მოხდა, რომელიც საზოგადოების ინფორმირების პრობლემებს, სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ხარვეზებს და პარტიების დღის წესრიგის პრიორიტეტებთან დაკავშირებულ პრობლემებს მოიცავს. როგორც ანგარიშშია განხილული, ბოლო პერიოდში რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, სამოქალაქო თავდაცვისა და მედეგობის საკითხი საქართველოსთვის კიდევ უფრო აქტუალური გახდა და ამ მიმართულებით სწრაფი და მრავალმხრივი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ანგარიშში წარმოდგენილი გამოწვევები და რეკომენდაციები როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ასევე სხვადასხვა აქტორებს მნიშვნელოვან მიგნებებს სთავაზობს და სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საერთო მიდგომების შემუშავებისა და ურთიერთთანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

„ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ინტერპარტიული საბჭო“ იმედს გამოთქვამს, რომ წარმოდგენილი ანგარიში გარკვეულ წვლილს შეიტანს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერებისა და მზაობის მიმართულებით საგნობრივი დისკუსიის წახალისებისა და კონკრეტული მიდგომების შემუშავების პროცესში.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

საქართველო, თბილისი 0107
ალექსანდრე პუშკინის ქ. 13
+995 599 99 02 12
info@gip.ge www.gip.ge